

# თეკლა ქველიძე

**დაბადების თარიღი: 17/09/2005**
**სკოლა: კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა**
**პროგრამა: ევროპისმცოდნეობა**
**კურსი: 3**
**CU ელ. ფოსტა: T_KVELIDZE@CU.EDU.GE**

## ჩემს შესახებ:

კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ევროპისმცოდნეობის პროგრამის სტუდენტი, თეკლა ქველიძე, დიდი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით ვეკიდები ჩემს განვითარებას, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის სფეროში ცოდნის გაღრმავებას. სწავლის პარალელურად აქტიურად ვარ ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მოხალისეობრივ საქმიანობასა და ახალგაზრდულ ინიციატივებში, რომლებმაც განავითარა ჩემი ლიდერული, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარები. ასევე ვარ საგანმანათლებლო სტარტაპის თანადამფუძნებელი, სადაც ინოვაციური იდეების განვითარებაზე ვმუშაობ.

კავკასიის უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში. აქ მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ მომცა შესაძლებლობა, განმევითარებინა საკუთარი უნარები და აქტიურად ჩავრთულიყავი სხვადასხვა ინიციატივაში. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტის ელჩის სტატუსით ღირსეულად წარმოვადგენ კავკასიის უნივერსიტეტს, გავუზიარებ მომავალ სტუდენტებს ჩემს გამოცდილებას და დავეხმარები მათ, უკეთ გაიცნონ ის შესაძლებლობები და გარემო, რომელსაც უნივერსიტეტი მათ განვითარებისთვის სთავაზობს.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი CAUCASUS UNIVERSITY AMBASSADOR